20/11/2020

გარდაიცვალა სერბეთის პატრიარქი ირინეოსი

დღეს, 2020 წლის 20 ნოემბერს, სერბეთის დროით დილის 7:07 საათზე, ბელგრადის სამხედრო ჰოსპიტალში ღვთივშეისვენა სერბეთის უწმიდესმა პატრიარქმა ირინეოსმა.

პატრიარქ ირინეოსის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას სერბეთის საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

უწმიდესი პატრიარქი კორონავირუსული ინფექციით იყო ინფიცირებული, რამაც მისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა დაამძიმა და გარდაიცვალა.

ღმერთმა მართალთა თანა დაამკვიდროს სერბეთის ახლადშესვენებული მამათმთავარი.

wenews.ge